საჯარო რეესტრის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები უკავშირდება, ზოგიერთი გარიგების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულოდ გამოცხადებას, კერძოდ:

1.) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში განცხადებას სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად, 2011 წლის 22 თებერვლიდან უნდა ერთოდეს საბანკო დაწესებულებაში უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს, თუ ნასყიდობის საფასურის გადახდა მხარეებს შორის ხდება ფულადი თანხით. ეს ვალდებულება არ ვრცელდება სახელმწიფო ან / და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პრივატიზებისას მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაზე.

ცვლილებები: 10.12.2010წ. მე-8 მუხლის 21-ე პუნქტი და 22.02.2011წ. დამატებები

2.) კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით, 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგების საფუძველზე საკუთრების, აღნაგობის, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის, ქირავნობის, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვების, ლიზინგის, საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებების და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობისათვის აუცილებელია, მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებსაც აღნიშნული უფლებები წარმოეშვათ 2010 წლის 07 დეკემბრამდე, ვალდებულნი არიან უფლებათა რეგისტრაცია განახორციელონ 2011 წლის 01 აპრილამდე.

ცვლილებები ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში:

- 07.12.2010წ. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი;
- 22.02.2011წ. დამატების და ცვლილების შესახებ კანონის I მუხლის მე-3 პუნქტი.